



მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ) სულ 1500 საათი,

აქედან:

34 კრედიტი (860 სთ) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო სთ -510; დამოუკიდებელი -286, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 64)

26 კრედიტი (640 სთ) პრაქტიკის კომპონენტისთვის. (საკონტაქტო სთ - 640)

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მეოთხე საფეხურზე დაიშვებიან პირები ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე, ან აქვთ ამავე სპეციალობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დიპლომი.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: მოამზადოს მეოთხე საფეხურის მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი, რომელიც ემსახურება მექანიკის ინჟინერიის სფეროს საქმიანობას, ამზადებს დეტალებს, აწყობს, არემონტებს, არეგულირებს მანქანა-დანადგარებს მექანიკის ინჟინერიის სფეროს საქმიანობას, სარემონტო და გასამართ, სამშენებლო, საგზაო-სამშენებლო დაწესებულებებში, კვების, მსუბუქი და მძიმე მრეწველობის საწარმოებში.

VII. სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის თეორიული საფუძვლები; 2. კომპიუტერული გრაფიკა, დეტალის მუშა ნახაზის, მანქანის საერთო ხედების და ჭრილების წაკითხვა; 3. მექანიკის ინჟინერიაში გამოყენებული მასალები; 4. საზეინკლო სამუშაოები; 5. საჩარხო სამუშაოები; 6. ტიპური დეტალის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის შედგენა, ჭრის რეჟიმების დადგენა; 7. მანქანათა კონსტრუირები, აწყობა, გამოცდა; მანქანა-დანადგარების მუშაობის უნარიანობის დადგენა, სარემონტო სამუშაოები, რემონტი და აწყობა; 8. ჩარხები და საჩარხო სისტემები; 9. მეწარმეობის საფუძვლები; 10. მექანიკის ინჟინერიის საწარმოო პროცესების უსაფრთხოების საფუძვლები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <p>სამუშაოს დაგეგმვა და პრაქტიკული შესრულება.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პრაქტიკული საქმიანობის დაგეგმვა და შესრულება შესაბამისი პროცედურებისა და პრინციპების გამოყენების საფუძველზე; 2. საზეინკლო სამუშაოთა პრაქტიკული შესრულება; 3. საჩარხო სამუშაოთა პრაქტიკული შესრულება;

	<p>4. სარემონტო სამუშაოების პრაქტიკული საქმიანობის შესრულება;</p> <p>5. ჩარხები და საჩარხო სისტემებზე მუშაობა.</p>
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. წარმოების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები; 2. შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად; 3. შეაფასოს მიღებული შედეგები და გააუმჯობესოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი.; 4. მექანიკის ინჟინერიის სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შეიმუშაოს შესაბამისი მიდგომები; 5. ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი;
კომუნიკაციის უნარი	<p>აქვს უნარი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კომუნიკაციისა ზეპირი და წერილობითი სახით პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე; 2. დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; 3. დაამუშაოს პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაცა უცხო ენაზე; 4. გადაამზადოს დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტი;
სწავლის უნარი	<p>აქვს უნარი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრის; 2. დამოუკიდებლად აიმაღლოს პროფესიული ცოდნა; 3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს გამოყენებით დაეუფლოს თანამედროვე ტექნოლოგიებს;
ღირებულებები	<p>აქვს :</p> <p>მექანიკის ინჟინერიის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პასუხისმგებლობით ეკიდება მექანიკის ინჟინერიის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს; 2. ცვალებად სიტუაციებში შეუძლია პროფესიული ორიენტაცია.; 3. ორიენტირებს უსაფრთხოების ნორმების დაცვით; 4. დეტალების ორიგინალური დამუშავების, კვანძების მექანიზმების აწყობის, გამართვის და რემონტის უნარი; 5. მექანიზმებისა და კვანძების მუშაობისა დიაგნოსტიკის უნარი.

VIII. სწავლის შედეგების რუქა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სამანქანათმშენებლო გრაფიკა	X	X		X		
ინფორმატიკა	X	X		X		
ინგლისური ენა	X	X		X		
მეწარმეობის საფუძვლები	X	X				X
ჭრა და მჭრელი იარაღები	X	X		X		
ჩარხები და საწარმოო ტექნოლოგიური სისტემები	X	X			X	X
ტექნოლოგიური მანქანების გამოცდა, ექსპლუატაცია და რემონტი	X	X		X	X	X
საწარმოო ტექნოლოგიური პროცესები	X	X	X			

IX. სასწავლო გეგმა

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
სამანქანათმშენებლო გრაფიკა	5	30/60				8	27	125
ინფორმატიკა	5	60				8	57	125
ინგლისური ენა	5	60				8	57	125
მეწარმეობის საფუძვლები	5	30/30				8	57	125
ჭრა და მჭრელი იარაღები	10	30/30		60	100	8	22	125
ჩარხები და საწარმოო ტექნოლოგიური სისტემები	10	30/30		60	100	8	22	250
ტექნოლოგიური მანქანების გამოცდა, ექსპლუატაცია და რემონტი	10	30/30		60	100	8	22	250
საწარმოო ტექნოლოგიური პროცესები	10	30/30		60	100	8	22	250
სულ	60	510		240	400	64	286	1500

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;

- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას;
- პრეზენტაცია.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;
- დაკვირვება და დემონსტრირება;
- პრეზენტაცია.

XII. სწავლების მეთოდები:

თეორიული სწავლება;

პრაქტიკული მეცადინეობა;

სასწავლო პრაქტიკა;

საწარმოო პრაქტიკა.

პრეზენტაცია

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მეოთხე ან მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინფორმატიკა	მერი მაღალაშვილი	მასწავლებელი
ინგლისური ენა	მანანა ბელთაძე	მასწავლებელი
მეწარმეობის საფუძვლები	შოთა ვეშაპიძე	მასწავლებელი
სამანქანათმშენებლო გრაფიკა	ნანა ბაქრაძე	დოქტორი
ჭრა და მჭრელი იარაღები	მანანა თალაკვაძე ვაჟა შილაკაძე	დოქტორი დოქტორი
ჩარხები და საწარმოო ტექნოლოგიური სისტემები	გივი ხვიჩია	დოქტორი
ტექნოლოგიური მანქანების გამოცდა, ექსპლუატაცია და რემონტი	ვაჟა ქირია	დოქტორი
საწარმოო ტექნოლოგიური პროცესები	მერაბ შვანგირაძე დავით ბუცხრიკიძე თენგიზ გერკეული	დოქტორი დოქტორი დოქტორი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალატოზის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
 სახელოსნოები, I კორპუსი.
 მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პრეზენტაციები და ვიდეოფილმები).

XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება
 სს "ელმავალმშენებელი" განკარგულება № 61, 23.09.2010 წ.

იხ. დანართი

XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მეოთხე საფეხურის მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა მეხუთე საფეხურის მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის პროგრამით.